ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - დავითი ტაბატაძე

თანამდებობის დასახელება - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი - 01.01.2023 წ. - დან 2023 წლის 01.11 - მდე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა
01.01.2023 წ - დან 2023 წლის 01.11 - მდე. საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 10

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 10

სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2023 წელს:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 6, ესწრებოდა - 6 სხდომას;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - 3, ესწრებოდა - 3 სხდომას.

მ/შ დროებითი კომისიები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, სხდომების რაოდენობა - 2, სხდომებზე დასწრება - 2;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა - 1, სხდომებზე დასწრება - 1;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების სამუშაო ჯგუფის სხდომა, ჯგუფის სხდომების რაოდენობა - 1, სხდომებზე დასწრება - 1.

სულ ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" სხდომების რაოდენობა - 2;

ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2.

ინიცირებული საკითხები:

წარვადგინე დადგენილების პროექტი „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკრებულოს წევრები, რომლებიც არ არიან საკრებულოს თანამდებობის პირები, ხარჯის თანხა არ შეცვლილა 2017 წლიდან, ასევე 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდგომ შეიცვალა და გაიზარდა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში შემავალი დასახლებების რაოდენობა. როგორც მაჟორიტარი ისე პროპორციული სიით არჩეული საკრებულოს წევრები სისტემატიურად ახორციელებენ ამომრჩევლებთან შეხვედრას ადგილზე გასვლით.

გამომდინარე აღნიშნულიდან, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და ერთხმად დამტკიცდა დადგენილების წარმოდგენილი პროექტი „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - დადგენილება.

მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილებები;
- განკარგულება Nგ-1313223577 ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტების შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - დადგენილება N47;
- განკარგულება Nგ-1313223578 ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- განკარგულება Nგ-1313223576 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს" (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - 2023 წლის 31 იანვრის დადგენილება N4;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - 2023 წლის 31 იანვრის დადგენილება N5;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ - 2023 წლის 27 თებერვლის Nგ-13. 13230583 განკარგულება;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - 2023 წლის 27 თებერვლის დადგენილება N 7;
- ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - 2023 წლის 27 თებერვლის დადგენილება N 10;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ - 2023 წლის 27 თებერვლის N გ-13.1323058001 განკარგულება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოსთვის, მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ - 2023 წლის 31 მარტის დადგენილება N 11;

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე - 2023 წლის 28 აპრილის N გ-13.1323118001 განკარგულება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის - ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ - 2023 წლის 9 ივნისის N გ-13. 1323160001 განკარგულება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი არაფინანსური აქტივების ჩამოწერისა და ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი - 2023 წლის 21 ივლისის დადგენილება N 14;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' - 2023 წლის 21 ივლისის დადგენილება N 15;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე - 2023 წლის 23 აგვისტოს N გ-13. 13232357 განკარგულება;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ - 2023 წლის 26 სექტემბერის დადგენილება N18.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე - ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე.

მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 4;

მოქალაქეებთან ინდივიდუალური შეხვედრების რაოდენობა - 75;

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 80 მოქალაქე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- ქ. ახალციხეში ე.წ ,,ფაბრიკის ბინების'' მიმდებარე ტერიტორიაზე (თამარაშვილის ჩიხის მიმდებარედ) სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა;
- ქ. ახალციხეში ე.წ ,,ფაბრიკის ბინების'' მიმდებარე ტერიტორიაზე თამარაშვილის ჩიხში მისასვლელი გზის პრობლემა (ასევე ითხოვდნენ ანაფრეზის დაყრას);
- ქ. ვალეში მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოიკვეთა წყალარინების სისტემის 2 ჭის დაზიანების ფაქტი, რომელიც პრობლემას უქმნის იქ მცხოვრებთ;
- ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩაზე (8 სართულიანის მიმდებარედ) გამოიკვეთა გათბობის ძველი შენობის ამორტიზებისა და ანტისანიტარიის პრობლემა;
- ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის N6-ში მდებარე კორპუსის ავარიული ფასადის აღდგენა-შეკეთების საკითხი;
- ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის N6-ში მდებარე კორპუსის წყალარინების სისტემის დაზიანების საკითხი.

მოქალაქეებთან შეხვედრებზე ასევე გამოიკვეთა სხვა ინფრასტრუქტურული, სოციალური და ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.

- ქ. ახალციხეში ე.წ ,,ფაბრიკის ბინების'' მიმდებარე ტერიტორიაზე (თამარაშვილის ჩიხის მიმდებარედ) სანიაღვრე არხების პრობლემასთან დაკავშირებით, შესაბამისი მიმართვა გადაიგზავნა მერიაში და აგრეთვე საკითხი დაისვა საგზაო დეპარტამენტში;
- შეხვედრებზე გამოკვეთილი პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, კერძოდ თამარაშვილს ქუჩაზე ჩიხში მისასვლელი გზის პრობლემასთან დაკავშირებით, მიიმართა მუნიციპალიტეტის მერიისთვის და მოხდა მყისიერი რეაგირება, გზაზე დაიყარა ,,ანაფრეზი'' და მოსწორდა დაზიანებული გზა;
- ქ. ვალეში დაზიანებულ წყალარინების სისტემასთან დაკავშირებით მივმართეთ ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ახალციხის სერვის ცენტრს'', რის საფუძველზეც დაწყებული იქნა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩაზე (8 სართულიანის მიმდებარედ) გამოკვეთილი გათბობის ძველი შენობის ამორტიზებისა და ანტისანიტარიის პრობლემის გადასაწყვეტად, საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს უმრავლესობის სხდომაზე, მერიის შესაბამის სამსახურის წარმომადგენელთან.

შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ შენობა კერძო მესაკუთრის მფლობელობაშია, შესაბამისად აღნიშნულ ეტაპზე მხოლოდ ანტისანიტარიის პრობლემის მოგვარება გახდა შესაძლებელი. საკითხი აყვანილია კონტროლზე, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

- ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის N6-ში მდებარე კორპუსის ფასადის ავარიულობის პრობლემასთან დაკავშირებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს ეცნობა პირად შეხვედრაზე. კორპუსის სარემონტო (სარეაბილიტაციო) სამუშაოების შესყიდვის თაობაზე გამოცხადებული ტენდერი ორჯერ არ შედგა, კვლავ მოხდა ტენდერის გამოცხადება;
- ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის N6-ში მდებარე კორპუსის წყალარინების სისტემის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით, ოფიციალური მიმართვა გაიგზავნა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ფილიალის ახალციხის სერვის ცენტრში.

  შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ მოხდა დროულად რეაგირება და ქსელის გაწმენდა ასენიზაციის სპეც. ტექნიკის გამოყენებით. ამჟამად, ქსელი მუშაობს გამართულად, წყალარინების ქსელის გაბიდვნის შეთხვევაში კომპანიის მიერ მიღებული იქნება შესაბამისი ზომები, წყალარინების ქსელის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის. კომპანიის ინფორმაციით აღნიშნულ ქუჩაზე წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია გათვალისწინებული იქნება ქ. ახალციხის წყალარინების სისტემის სრული რეაბილიტაციის პროექტში.

მოქალაქეებთან შეხვედრების დროს გამოვლენილი სხვა პრობლემური საკითხები მიწოდებული იქნა მერიის შესაბამის სამსახურებთან, როგორც წერილობით ისე სიტყვიერად. პრობლემური საკითხების ნაწილი გადაწყვეტილ იქნა დადებითად, ნაწილზე მიმდინარეობს შესწავლა შემდგომი რეაგირების მიზნით.

აგრეთვე დახმარება და კონსულტაცია გაეწია მოქალაქეებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა:

- 1 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები აწყურის ადმინისტრაციულ ერთეულში;
- 3 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები აგარის ადმინისტრაციულ ერთეულში;
- 10 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები ჭვინთის ადმინისტრაციულ ერთეულში;
- 10 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები სოფლებში ივლიტაში, ზემო სხვილისსა და სხვილისში;

- 11 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები ქალაქ ვალეში;
- 14 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები წყალთბილის ადმინისტრაციულ ერთეულში;
- 16 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები პამაჯისა და საძელის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში;
- 17 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები მინაძისა და ურავლის ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- 20 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები ანდრიაწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში;
- ვმონაწილეობდი 22 მარტს, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და სუფთა გარემოს შენარჩუნების მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტში გამართული დასუფთავების აქციაში;
- 24 მარტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო კომპანია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) ჩართულობით განხორციელებული საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაში მონაწილეობის მიღება საკრებულოს როლისა და ფუნქციების განსაზღვრაზე, საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადებაზე, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების მიზნებს, ამოცანებს, მათ მიღწევებს, კონკრეტულ მექანიზმებსა და განვითარების კურს;
- 29 მარტს მოსწავლეთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში სამუსიკო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოებაში მონაწილეობის მიღება;
- 31 მარტს ,,მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად ბიზნესი'' - ამ თემაზე ახალციხის მუნიციპალიტეტში მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრაში მონაწილეობის მიღება;
- 9 აპრილის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 4 მაისს ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის „მწვანე სახლის“ და „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელებთან შეხვედრა, ბენეფიციარების მონახულება;
- 9 მაისის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 26 მაისის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ღვაწლმოსილ თანამშრომლებთან და მენეჯერებთან შეხვედრაში მონაწილეობა;

- 12 ივნისს ახალციხის სამხატვრო სკოლაში სასწავლო წლის შემაჯამებელ გამოფენაზე მონაწილეობის მიღება;
- 14 ივნისს ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის - „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღება;
- 14 ივნისს ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გაერთიანებულ-შემაჯამებელ კონცერტზე მონაწილეობის მიღება;
- 27 ივნისს ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლაში ცისანა ახვლედიანის პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საიუბილეო ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღება;
- 28 ივნისს ახალციხის სასპორტო სკოლის ორგანიზებით გამართულ ღია პირველობა ჭიდაობაში, მერიის თასზე ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება და წარმატებულ სპორცმენთა დაჯილდოება;
- 30 ივნისს სახალხო დღესასწაულ ,,ახალციხელობა''-ში მონაწილეობის მიღება;
- 1 ივლისს ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩაზე სახელმწიფო სიმბოლო, საქართველოს ეროვნული დროშის აღმართვაში მონაწილეობა;
- 14 ივლისს ახალციხეში სხვადასხვა ლოკაციაზე გამწვანებით სამუშაოებში, ხე-მცენარეების დარგვაში მონაწილეობის მიღება;
- 14 ივლისს ახალციხეში კოსტავას ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მონახულება;
- 25 ივლისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კურსდამთავრებულთა გაცილების ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 8 აგვისტოს 2008 წლის აგვისტოს ომის 15 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 14 აგვისტოს აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან 31 წლის გასვლასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 17 აგვისტოს ახალციხის ციხის ციტადელზე, რეგიონში ახალგაზრდების ხელშეწყობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო კოორდინირებული თანამშრომლობის მიზნით გამართულ, ახალგაზრდულ რეგიონულ ფორუმში მონაწილეობის მიღება;
- 11 სექტემბერს გამართულ, „ახალციხის ციხის“ ტერიტორიაზე ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის პედაგოგების შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენაში სახელწოდებით “გაიცანით ხელოვანი პედაგოგები“. მონაწილეობის მიღება;
- 15 სექტემბერს სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული სხვადასხვა სკოლების მონახულება;
- 18 სექტემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 21 სექტემბერს გამართულ დასუფთავების ყოველწლიურ საერთაშორისო კამპანიაში „დავასუფთაოთ მსოფლიო-დავასუფთაოთ საქართველო“- ში მონაწილეობის მიღება;
- 23 სექტემბერს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ვალეში გამართულ მუსიკალურ საღამოზე მონაწილეობის მიღება;

- 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის 30 წლის გასვლიდან მიძღვნილ ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღება და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების ხსოვნაზე პატივის მი გება;
- 3 ოქტომბერს ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N 1 საჯარო სკოლის პედაგოგის ციალა სარიშვილის საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 5 ოქტომბერს მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღება;
- ახალციხეში 6 ოქტომბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით გამართულ საჭადრაკო ფესტივალ „ახალციხე-2023''-ში მონაწილეობის მიღება და გამარჯვებულ მოჭადრაკეთა დაჯილდოება;
- 10 ოქტომბერს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით ახალციხეში გამართულ ღვინის ფესტივალში ,,ღვინის დღეები'' მონაწილეობის მიღება.

შევსების თარიღი --20. 10. 2023

წარდგენის თარიღი --23. 10. 2023

ხელის მოწერა ----